



## ფიზიკის შესავალი - 2

### ლექცია 2

აჩქარება,

თანამდებობა  
თავისუფალი ვარდნა

ფიზიკის შესავალი 2, აღ. თებულება, 2014

ლექცია/გვერდი: 2/1

### წინა ლექციაში

ფიზიკურ ერთეულთა სისტემა: SI  
ფიზიკური ერთეულების პრეფიქსები  
განზომილებათა ანალიზი

მოძრაობა

საშუალო და მყისი სიჩქარე

X-T დიაგრამა

ფიზიკის შესავალი 2, აღ. თებულება, 2014

ლექცია/გვერდი: 2/2

### აჩქარება

აჩქარებული ეწოდება მოძრაობას ცვალებადი  
სიჩქარით.

აჩქარებულია მოძრაობა ზრდადი სიჩქარით;  
აჩქარებულია მოძრაობა კლებადი სიჩქარით;

ფიზიკური თვალსაზრისით სხეული მოძრაობს  
აჩქარებით თუკი იგი ან ჩქარდება, ან ნელდება;

აჩქარებას შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი

ფიზიკის შესავალი 2, აღ. თებულება, 2014

ლექცია/გვერდი: 2/3

### აჩქარება და სიჩქარე

სიჩქარე და აჩქარება თანამიმართულია:  
სიჩქარე მატულობს (მოძრაობა დადებითი აჩქარებით)

$$V \xrightarrow{\quad a \quad} \xrightarrow{\quad a \quad}$$


სიჩქარე და აჩქარება უკუმიმართულია:

$$V \xrightarrow{\quad a \quad} \xleftarrow{\quad a \quad}$$

სიჩქარე იკლებს (მოძრაობა უარყოფითი აჩქარებით)

## აჩქარება

სიჩქარის ცვლილების შეგრძნება მოძრაობაში



სიჩქარის ზრდა ( $a > 0$ )

სიჩქარის კლება ( $a < 0$ )

## აჩქარება

აჩქარება არის სიდიდე, რომელიც აღწერს სიჩქარის ცვლილების სისწრაფეს


$$a = \frac{\Delta V}{\Delta t} = \frac{V_2 - V_1}{t_2 - t_1}$$

უძრავი ან მუდმივი სიჩქარით მოძრავი სხეული:

$$\underline{a = 0}$$

## V-T დიაგრამა

წრფივი თანაბრად აჩქარებული მოძრაობა



აჩქარების გრაფიკული ექვივალენტი:  
დახრის კუთხე

## მოძრაობა მუდმივი აჩქარებით

სიჩქარის ცვლილება:  $a = \Delta V / \Delta t$ ,  $\Delta V = V - V_0$

$$V = V_0 + a \Delta t$$

მოძრაობის საშუალო სიჩქარე:  $V_{საშ} = (V_0 + V) / 2$

განვლილი მანძილი:  $\Delta S = V_{საშ} \Delta t$

$$\begin{aligned} \Delta S &= (V_0 + V) / 2 \Delta t = (V_0 + V_0 + a \Delta t) / 2 \Delta t = \\ &= V_0 \Delta t + a \Delta t^2 / 2 \end{aligned}$$

## მოძრაობა მუდმივი აჩქარებით


საწყისი დროის მომენტი:  $t_0 = 0$ , მაშინ:  $\Delta t = t - t_0 = t$

$$\text{გადაადგილება: } \Delta S = S - S_0$$


სიჩქარე და გადაადგილება თანაბრადაჩქარებული მოძრაობისას:

$$\begin{aligned} V(t) &= V_0 + a t \\ S(t) &= S_0 + V_0 t + a t^2 / 2 \end{aligned}$$

## მოძრაობა მუდმივი აჩქარებით



### V-T დიაგრამა



I – მოძრაობა მუდმივი დადებითი აჩქარებით

II – მოძრაბა მუდმივი სიჩქარით

III – მოძრაობა მუდმივი უარყოითი აჩქარებით


IV – სხეული უძრავია

## მოძრაობა ცვალებადი აჩქარებით

ფორმულა-1 სტარტი



მოძრაობა ცვალებადი აჩქარებით



## მოძრაობა ცვალებადი აჩქარებით

საშუალო აჩქარება:  $a = (V_2 - V_1) / (t_2 - t_1)$

მყისიერი აჩქარება:

$$a = \Delta V / \Delta t$$

$$(\Delta t \rightarrow 0)$$

დიფერენციალური ფორმით:


$$a = dV/dt = d^2r/dt^2$$

## აჩქარება და დამუხრუჭება



## დამუხრუჭების კინემატიკა

რა დროში და რა მანძილში გაჩერდება მანქანა თუკი იგი იწყებს დამუხრუჭებას  $V_0$  სიჩქარეზე. მოძრაობის შენელება ხდება თანაბარი აჩქარებით  $a_0$ .



მანქანის გაჩერების დრო:  $T$  მანძილი:  $L$

## დამუხრუჭების კინემატიკა

$$(V = V_0 + a t)$$

$$0 = V_0 - a_0 T$$

მანქანის გაჩერების დრო:

$$T = V_0 / a_0$$

გავლილი მანძილი:  $(X = X_0 + V_0 t + a t^2 / 2)$

$$L = 0 + V_0 T - a_0 T^2 / 2 = V_0 V_0 / a_0 - a_0 (V_0 / a_0)^2 / 2$$

$$L = V_0^2 / (2a_0)$$

სამუხრუჭე მანძილი იზრდება სიჩქარის კვადრატის პროპორციულად

## ამოცანის ამოხსნის სტრატეგია

ფიზიკური ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნა

1. ამოცანის შეფასება;
2. ამოცანის ფორმულირება;
3. ამოხსნა;
4. შედეგის შემოწმება;

## ამოცანის ამოხსნის სტრატეგია

2. ამოცანის ფორმულირება;

აირჩიეთ: კოორდინატთა დერძის მიმართულება,  
კოორდინატთა სათავე, დროში საწყისი მომენტი.

ჩამოწერეთ ამოცანაში მონაწილე ფიზიკური  
ცვლადები ( $V_0, V_1, t_0, t_1, X_0, X_1, a, \dots$ )

რომელი ცვლადია ცნობილი და რომელი უცნობი?

## ამოცანის ამოხსნის სტრატეგია

### 1. ამოცანის შეფასება

ყურადღებით წაიკითხეთ ამოცანა;

შეაფასეთ ფიზიკური მოდელი;  
(წრფივი მოძრაობა? მუდმივი აჩქარება?)

## ამოცანის ამოხსნის სტრატეგია

### 3. ამოხსნა

გამოიყენეთ კინემატიკის განტოლებები და ცნობილი  
ცვლადების საშუალებით გამოსახეთ (გამოთვალეთ)  
უცნობი ცვლადები;

პროცესი შეიძლება მოიცავდეს რამოდენიმე  
შუალედურ საფეხურს;

## ამოცანის ამოხსნის სტრატეგია

### 4. შედეგის შემოწმება

- შეამოწმეთ ფორმალურად მიღებული შედეგის განზომილება. ემთხვევა გამოთვლილი სიდიდის განზომილება საძიებელი ფიზიკური სიდიდის განზომილებას?
- შეაფასეთ შედეგი პრაგმატული მოსაზრებებით. რამდენად რეალისტურია მიღებული რიცხვითი შედეგი.

## ამოცანა # 1

მოტოციკლისტი იწყებს თანაბრადაჩქარებულ მოძრაობას როგორც კი გასცდება ქალაქის საზღვრის მაჩვენებელ ნიშანს. მისი აჩქარებაა  $4 \text{ m}/\sqrt{\text{მ}}^2$ .

$t=0$  მომენტში იგი 5 მეტრით გასცდა ნიშანს და მოძრაობს  $15\text{m}/\sqrt{\text{მ}}$  სიჩქარით.

ა) იპოვეთ მოტოციკლისტის ადგილმდებარეობა და სიჩქარე  $t=2 \sqrt{\text{მ}}$  წმ მომენტისათვის.


ბ) იპოვეთ მოტოციკლისტის ადგილმდებარეობა როდესაც მისი სიჩქარე იქნება  $25 \text{ m}/\sqrt{\text{მ}}$ .

## ამოცანა # 1

### 1. ამოცანის შეფასება

მოძრაობა წრფის გასწვრივ;  
მოძრაობა თანაბარი აჩქარებით;

### 2. ამოცანის ფორმულირება;



## ამოცანა # 1

### 3. ამოხსნა

$$X = X_0 + V_0 t + a t^2 / 2$$

$$X = 5 (\theta) + 15 (\theta/\sqrt{\theta}) 2 (\sqrt{\theta}) + 4 (\theta/\sqrt{\theta^2}) 2^2 (\sqrt{\theta^2}) / 2 = \\ = (5 + 30 + 8) (\theta) = 43 (\theta)$$

მანძილი 2 წამის შემდეგ:

$$X = 43 \theta$$

## ამოცანა # 1

სასარგებლო ფორმულა

$$X = X_0 + V_0 t + a t^2 / 2, \quad V = V_0 + a t$$

$$t = (V - V_0) / a$$

$$\begin{aligned} X &= X_0 + V_0 (V - V_0) / a + a (V - V_0)^2 / (2a^2) \\ X - X_0 &= (V^2 - V_0^2) / (2a) \end{aligned}$$

$$V^2 - V_0^2 = 2a (X - X_0)$$

## ამოცანა # 1

$$V^2 - V_0^2 = 2a (X - X_0)$$

$$(25 \text{ } \partial/\text{წ}\partial)^2 - (15 \text{ } \partial/\text{წ}\partial)^2 = 2 \times 4 (\partial/\text{წ}\partial^2) (X - 5(\partial))$$

$$X - 5(\partial) = (625 - 225) (\partial/\text{წ}\partial)^2 / (8 \text{ } \partial/\text{წ}\partial) = 400 / 8 (\partial)$$

$$X = 5(\partial) + 50(\partial) = 55(\partial)$$

ადგილმდებარეობა 25\text{ } \partial/\text{წ}\partial \text{ სიჩქარისას:}

$$X = 55 \text{ } \partial$$

## ამოცანა # 1

4. შედეგის შემოწმება

- a)  $X = 43 \text{ } \partial$
- b)  $X = 55 \text{ } \partial$

განზომილება +

მანძილის შეფასება +

## ამოცანა #2

ორი მოძრავი სხეულის კინემატიკა

ავტომობილი გაივლის შუქნიშნის წითელ შუქზე  
მუდმივი 15  $\text{m}/\text{წ}\partial$  სიჩქარით. დარღვევას ამჩნევს  
პოლიციელი მოტოციკლზე და იწყებს აჩქარებულ  
მოძრაობას დამრღვევის შესაჩერებლად.  
პოლიციელის აჩქარება მუდმივია და უდრის 3  $\text{m}/\text{წ}\partial^2$ .  
რამდენ ხანში დაწევა პოლიციელი დამრღვევს?

## ამოცანა #2

დამრღვევი: ინდექსი 1;

პოლიციელი: ინდექსი 2;

$$X = X_0 + V_0 t + a t^2 / 2$$

$$X_1 = 0 + V_1 t + 0 t^2 / 2 = V_1 t$$

$$X_2 = 0 + 0 t + a t^2 / 2 = a t^2 / 2$$

დაწევა:  $X_1 = X_2 \quad V_1 t = a t^2 / 2 ; \quad t = 2 V_1 / a;$

$$t = 2 \times 15 (\text{მ}/\text{წ}^2) / (3 \text{ მ}/\text{წ}^2) = 30 / 3 (\text{წ}) = 10 (\text{წ})$$



$$t = 10 \text{ წ}$$

## თავისუფალი ვარდნა

დედამიწის სიმძიმის ველში

თავისუფალი ვარდნა: მაგ. მონუტის

ჩამოგდება ერთი ხელიდან მეორეში



ძველი წარმოდგენებით მძიმე  
სხეული ვარდება უფრო სწრაფად;

გალილეის ექსპერიმენტებმა აჩვენეს  
რომ თავისუფალური ვარდნის აჩქარება  
მუდმივია

## თავისუფალი ვარდნა

სხეულის ვარდნა დედამიწის სიმძიმის ველში


თავისუფალი ვარდნის აჩქარება:  $g = 9.8 \text{ მ}/\text{წ}^2$

- დედამიწის ზედაპირთან ახლოს;
- ჰაერის წინააღმდეგობა უმნიშვნელოა;
- (დაბალი სიჩქარები)




ბილიარდის ბურთის ვარდნის ფოტოები  
გადაღებული ტოლ დროის ინტერვალებში

## თავისუფალი ვარდნის აჩქარება



## ამოცანა #3

რა სიმაღლეზე ავა და რა დროში ჩამოვარდება  
ვერტიკალურად ზემოთ 15 მ/წმ სიჩქარით  
ატყორცნილი ბურთი?



## ამოცანა #3

$$V^2 - V_0^2 = 2a (X - X_0)$$

აღმავალი ტრაექტორია:  $a = -g$

$$0 - (15 \text{ m/s})^2 = -2 \text{ m/s}^2 (\theta) H(\theta)$$

$$H = 15^2 (\theta)^2 / (2 \times 9.8 \text{ m/s}^2) = 225 / 19.6 (\theta)$$

$$H = 11.48 (\theta)$$

$$V = V_0 + a t \quad 0 = 15 (\theta) - 9.8 (\theta^2) t$$

$$T_1 = 15/9.8 (\theta) = 1.53 (\theta)$$

## ამოცანა #3

ვარდნის ტრაექტორია:

$$X = X_0 + V_0 t + a t^2 / 2$$

$$0 = H + 0 T_2 - g T_2^2 / 2$$

$$T_2 = (2H/g)^{1/2}$$

ვარდნის დრო:  $T_2 = (2 \times 11.48 / 9.8) = 1.53 (\theta)$

$$T_1 = T_2$$

აღმავალ და დაღმავალ ტრაექტორიებზე მოძრაობა  
მიმდინარეობს დროში სიმეტრიულად

## შეკითხვები

შეუძია სხეულს რომელიც მოძრაობს მუდმივი  
აჩქარებით შეიცვალოს მოძრაობის  
მიმართულება?


შეიცვალოს მიმართულება ორჯერ?

## შეკითხვები

რა პირობებში უდრის სხეულის მოძრაობის  
საშუალო სიჩქარე მყის სიჩქარეს?

აჩვენეთ X-T დიაგრამაზე.

## შეკითხვები



აღწერეთ სხეულის მოძრაობის კინემატიკა  
იპოვეთ საშუალო სიჩქარე 1-2, 1-3, 1-4, აჩქარება

## კინემატიკა

აჩქარებული მოძრაობა  
ამოცანის ამოხსნის სტრატეგია  
ამოცანები და მაგალითები  
თავისუფალი ვარდნა

[www.tevza.org/home/course/phys2014](http://www.tevza.org/home/course/phys2014)